თავაზიანობის ლინგვისტური სტრატეგიების გაანალიზება ომის დისკურსში (2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის ამსახველი ინგლისურენოვანი მედიის მიხედვით)

ნატალი სუმბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნატალი სუმბაძე

29. 06. 2022

მადლობა

გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო გულიაშვილს, რომლის რჩევები, რეკომენდაციები და უკუკავშირი ძალიან დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის განვითარებისა და შესრულებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის თავაზიანობის ლინგვისტურ სტრატეგიებს ომის დისკურსში ცნობილი პოლიტიკოსების - ბორის ჯონსონისა და ჯო ბაიდენის საჯარო გამოსვლების ანალიზზე დაყრდნობით. თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერ დისკურსში, მათ შორის, პოლიტიკურ და ომის დისკურსში. პოლიტიკურ დისკურსში თავაზიანობის სტრატეგიებისადმი ინტერესი თანდათან იზრდება, გარდა ამისა, ნაკლებად ვხვდებით ომის თემატიკაზე შექმნილ ნაშრომებს. მაშასადამე, შესაძლოა ითქვას, რომ კვლევა აქტუალურია. ნაშრომის მიზანია ბორის ჯონსონისა და ჯო ბაიდენის საჯარო გამოსვლების ლინგვისტური ანალიზით დადგინდეს, თუ ლინგვისტური თავაზიანობის რა სტრატეგიებს მიმართეს პოლიტიკოსებმა და რა ფუნქცია აქვთ მათ ომის დისკურსში. ასევე მნიშვნელოვანია ამ ორი პოლიტიკოსის დისკურსის ერთმანეთთან შედარება. ნაშრომში მიმოხილულია პრაგმატიკისა და ლინგვისტური თავაზიანობის შესახებ არსებული სხვადასხვა თეორია, თუმცა კვლევის საფუძვლად გამოყენებულია ბრაუნისა და ლევინსონის მიერ შემოთავაზებული თავაზიანობის მოდელი. კვლევის მეთოდად გამოყენებულია დისკურსის ანალიზი. კვლევაზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოლიტიკოსის საჯარო გამოსვლებში ვხვდებით თავაზიანობის ყველა სტრატეგიას, თითოეულს განსხვავებული ეფექტი აქვს მსმენელზე.

საკვანძო სიტყვები: თავაზიანობის სტრატეგიები; დადებითი თავაზიანობა; უარყოფითი თავაზიანობა; პოლიტიკური დისკურსი; ომის დისკურსი; სახის შელახვა და შენარჩუნება;

Abstract

The present paper investigates linguistic strategies of politeness in the discourse of war based on the analysis of public speeches of famous politicians – Boris Johnson and Joe Biden. The usage of politeness strategies plays an important role in any kind of discourse – including political and war discourses. There is an increasing interest in the politeness strategies, which are enacted in the political discourse and also, there is a scarcity of scientific works with regard to the topic of war. Therefore, it can be said that this research is topical. Based on the linguistic analysis of the public speeches made by Boris Johnson and Joe Biden, this paper aims to analyze the strategies of linguistic politeness exerted by these politicians in their speeches as well as identifying their role in the discourse of war. Comparing the discourses of these two politicians is also important. The thesis reviews various theories about pragmatics and linguistic politeness, however, the analysis is based on Brown and Levinson's politeness theory and discourse analysis. The research has shown that even though there are all types of politeness strategies in the public speeches of both politicians, each of them has a different effect on a hearer.

Keywords: politeness strategies; positive politeness; negative politeness; political discourse; war discourse;; face threatening and face saving acts;